საექსპერტო დასკვნა -

„მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი გლდანში, ქერჩის ქუჩაზე“

21 ივლისი

2019

საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისობის შეფასებას.საექსპერტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებსაქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების საფუძველზე 47-ემუხლით (მუხლი 47." არქიტექტურული პროექტის შენდგენლობა") განსაზღვრული არქიტექტურული პროექტი.

PLANNING CONSULTING GROUP

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, ქერჩის ქუჩაზე (ნაკვეთი 29/102, ს/კ 01.11.05.029.279) მდებარე მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შესაბამისობაზე საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან, ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“.

ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, ქერჩის ქუჩაზე (ნაკვეთი 29/102, ს/კ 01.11.05.029.279), მდებარე მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი შეასრულა არქიტექტურულმა სტუდიამ: **შ.პ.ს „109 გრადუსი“**

საექსპერტო დასკვნის შესადგენად გამოყენებულ იქნა დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია:
მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებსაქართველოს მ თავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების საფუძველზე 47-ემუხლით (მუხლი 47." არქიტექტურული პროექტის შენდგენლობა") განსაზღვრული არქიტექტურული პროექტი.

საექსპერტო დასკვნა მოიცავს არქიტექტურული პროექტის ნაწილების შეფასებას ტექნიკურ რეგლამენტთან - "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები" შესაბამისობაზე საქარველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილების („მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“
საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე) **მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის** მიხედვით.

1. შენიშვნები

შენიშვნა№	განმარტება

1. საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.

2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბმისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.

3. საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული წესების

მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

1. ტერმინები და განმარტებები

ტერმინი №	განმარტება

1. წესები - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები.
2.ШМД - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე

• პროექტის აღწერილობა

პროექტის მიზანს წარმოადგენს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დაგეგმარება თანამედროვე გეგმარებითი პრინციპებისა და შენობა- ნაგებობის უსაფრთხოების ნორმების დაცვით.

წინამდებარე პროექტი დამუშავებულია AR1384000 განაცხადის მიხედვით თბილისის საკრებულოსმიერ, 2016 წლის 10 ივნისს გაცემული, გრგ-ს საპროექტო დავალების №156 განკარგულების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში გაკეთებული 01181233-67 განცხადების საფუძველზე შეთანხმებული კორექტირებული გრგ-ს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 12 თებერვლის N44-ე განკარგულების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41-ე დადგენილების ნორმებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით.

შეთანხმებული გრგ-ს მიხედვით პროექტი წარმოადგენს მშენებლობის განხორციელების მეორე ეტაპს, რომლის დროსაც უნდა მოხდეს 11 სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, ქერჩის ქუჩა ნაკვეთი 29/102-ში. ს/კ 01.11.05.029.279, AR1521586 განცხადებით საპროექტო ტერიტორიაზე მოხდა ფუნქციური ზონის ცვლილება და ტერიტორიას მიენიჭა საცხოვრებელი ზონა 6-ის და სატრანსპორტო ზონა 1-ის სტატუსები. ტერიტორიაზე მდებარეობდა მიწისქვეშა ბეტონის რეზერვუარების ნანგრევები, რომელთა დემონტაჟიც AR1488741 განაცხადის მიხედვით 2017 წლის 4 აპრილს გაცემული №3186569 ბრძანების საფუძველზე განხორციელდა. ამჟამად ტერიტორია შემოღობილია დემონტაჟის პროექტის მიხედვით შეთანხმებული ღობით. ტერიტორია ქერჩის ქუჩიდან სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით 4.5 მეტრზე ეშვება. არსებული მდგომარეობით ტერიტორიაზე არ არსებობს ხე-ნარგავები. საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს ტრაპეციის ფორმის ნაკვეთს, რომელსაც დასავლეთიდან ესაზღვრება შპს იუნიქს ქონსტრაქშენ კომპანი-ს საკუთრებაში არსებული ნაკვეთები. ჩრდილოეთის მხრიდან სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ნაკვეთი. აღმოსავლეთის მხრიდან ასევა შპს „მეგა კონსტრაქშენის“ საკუთრებაში არსებული ნაკვეთი, რომელზეც იგივე გრგ-ს საფუძველზე მიმდინარეობს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. სამხრეთიდან ესაზღვრება შპს ახალი თბილისის მშენებარე საცხოვრებელი

უბანი და ამ უბნის გრგ-ს მიხედვით დაპროექტებული გზა. ამ გზის გაფართოებას ემსახურება საპროექტო ტერიტორიაზე მდებარე საავტომობილო გზის სავალი ნაწილიც.

პროექტის კონცეფცია მდგომარეობს თანამედროვე პრინციპებით დაგეგმარებული საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და სარეკრეაციო სივრცეების მოწყობა, რათა მაცხოვრებლებისთვის შეიქმნას ფუნქციურად გამართული, კომფორტული და უსაფრთხო გარემო.

საცხოვრებელი კომპლექსის იერსახის ძირითად მაფორმირებელ ელემენტს წარმოადგენს ვრცელი, შედა ეზოს მქონე, მრავალბინიანი, საცხოვრებელი სახლი. ეზოში მაცხოვრებელთა მოხვედრა შენობაში გაჭრილი ორი თაღიდან და აღმოსავლეთიდან მომიჯნავე გზიდან ხდება. ამ ეზოზეა ორიენტირებული საცხოვრებელი ბინების უმეტესობა. ეზოში ავტომობილთა შესვლა არ ხდება, ავტოსადგომები განლაგებულია შენობის მიწისქვედა სართულში. აუცილებელი საჭიროების შემთხვევაში, ბარიერები მოიხსნება და სასწრაფო სამედიცინო, სახანძრო-სამაშველო, თუ ავეჯის გადაზიდვის სერვისების ავტომობილებს შეეძლებათ შიდა ეზოში შესვლა.

ეზოს კეთილმოწყობის პროექტი ითვალისწინებს სპორტული და ბავშვთა სათამაშო მოედნების, ბილიკებისა და ფანჩატურების მოწყობას. რამდენადაც შიდა ეზოს ქვეშ არ არის მიწისქვედა ნაგებობები, ეზოში გათვალისწინებულია მაქსიმალური რაოდენობის წიწვოვანი და ფოთლოვანი ხე-ნარგავების გაშენება.

შენობის აღნიშნული სახით გადაწყვეტა წარმოადგენს თბილისური შიდა ეზოებიანი სახლების იდეის ერთგვარ ადაპტაციას თანამედროვე, მრავალბინიან, საცხოვრებელ გარემოში. პროექტის ამგვარი გადაწყვეტით გვსურს ხელი შევუწყოთ ახალმოსახლეთა შორის სოციალური კავშირების ჩამოყალიბებას და დღევანდელი სტრესული გარემოდან შინ დაბრუნებულ ადამიანს მიეცეს საშუალება დაისვენოს მყუდრო გარემოში, რომელიც უპასუხებს ყველა ასაკის მაცხოვრებელთა მოთხოვნებს.

შენობა წარმოადგენს ბეტონის საფასადე ფილებით მოპირკეთებულ 13 სართულიან (2 მიწისქვედა სართულით) შენობას, - II სართულზე განლაგებული მიწისქვეშა ავტოსადგომით, - I სართულზე მდებარე აფტოსადგომითა და კომერციული ფართებით, მიწისპირა სართულებზე მდებარე კომერციული ფართობებით (ტანსაცმლის და ფეხსაცმლის მაღაზიები) და 11 საცხოვრებელი სართულით, რომელსაც ასრულებს ლიფტის სააგრეგატო და ტექნიკური სათავსები. შენობას აქვს ბრტყელი გადახურვა. გადახურვის ფენილი შედგება - ბეტონის ფილაზე მოწყობილის არმირებული მოჭიმვისგან 50-200მმ (ქანობებით წყლის გადასაყვანედ), შემდეგ ორი ფენა ჰიდროიზოლაცია, XPS-ის ფილა 150მმ, შემდეგ გეოტექსტილის ფენა, რაზეც დაიყრება 130 მმ სისქეზე ღორღის ფენა ფრაქციით 30-40მმ. აივნებზე მოწყობილია ლითონის მოაჯირები. ფასადებზე სეგმენტებში ხის ფაქტურის მქონე კომპოზიტური პანელებით მოპირკეთება. ღიობებში დამონტაჟდება მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯარა.

ვინაიდან ტერიტორია მდებარეობს პერიფერიულ ზონაში, ყოველ 180 კვადრატულ კ2-ის საანგარიშო ფართობზე უნდა არსებობდეს 1 ავტოსადგომი. პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია 270 ავტოსადგომის მოწყობა (232 მიწისქვედა დახურული, 38

მიწისზედა). აქედან 25 ავტოსადგომი ადაპტირებულია შ.შ.მ პირებზე. საპროექტო შენობების კ2-ის საანგარიშო ფართობი შეადგენს 41 260.5 კვ.მ-ს 41260.5/180=229 შესაბამისად პროექტი აკმაყოფილებს ავტოსადგომების რაოდენობის ნორმას.

შენობაში განთავსდება 567 ბინა, ასედან 21 დუპლექსი, 45 კვ.მ.-მდე ფართობის მქონე 168 ბინა, 45-დან 60 კვ.მ.-მდე ფართობის მქონე 208 ბინა, 60-დან 75 კვ.მ.-მდე ფართობის მქონე 102 ბინა, და 75 კვ.მ.-ზე მეტი ფართობის მქონე 68 ბინა . სართულები ტიპიურია. ძირითად გადაადგილების საშუალებას წარმოადგენს რვა ლიფტი, რომელიც შენობის ყველა სართულზე ჩერდება. შენობის ცენტრალურ სეგმენტებში განთავსებულია რვა დაუკვამლიანებელი, შემოზღუდული სახანძრო უსაფთხოების ნორმების შესაბამისად დაპროექტებული კიბის უჯრედი.

შენობის ძირითადი სტრუქტურული სისტემა წარმოადგენს კარკასულ სტრუქტურას. მზიდ ფუნქციას ასრულებს გაძლიერებული ბეტონის სვეტები, პილონები და კიბის უჯრედისა და ლიფტის შახტების შემომზღუდავი, გაძლიერებული ბეტონის კედლები, სართულშუა გადახურვად და სახურავის ფილად გამოყენებულია ასევე გაძლიერებული ბეტონის ანაკრები ფილა. შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მიხედვით, შენობის სიმაღლისა და ფართობიდან გამომდინარე, კონსტრუქციის ტიპი არის **I-B**.

შენობის პროექტირებისას გრგ-ს სტადიაზე გამოყენებული იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის საკრებულოს N 14-39 დადგენილება, ხოლო შენობის არქიტექტურული პროექტი დამუშავდა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N 41 დადგენილების „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ შესაბამისად.

- ძირითადი ნაწილი

1. დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება

პროექტი ითვალისწინებს საპროექტო შენობაში განსათავსებელ თითოეული ტიპის დაკავებულობისთვის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებით განსაზღვრულ ყველა დეტალურ მოთხოვნას, დაკავებულობები არის კლასიფიცირებული მე-3 თავის მიხედვით და შეესაბამება წესების **302-ე ქვეთავს.**

პროექტში გამოყენებულია სასაწყობო **(სწ-2),** სავაჭრო **(სვ),** საქმიანი **(სქ),** საგანმანათლებლო **(სგ)** და საცხოვრებელი **(სც-2)** ჯგუფის დაკავებულობები, კერძოდ:

სასაწყობო ჯგუფის ქვეჯგუფი **სწ-2** (შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი -7,59 და -4,29 ნიშნულებზე) წესების **311.3 ქვეთავის** მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს შენობებს, სადაც არაწვადი მასალები ინახება და მიეკუთვნება მცირე საფრთხის შემცველ სასაწყობო ჯგუფს.

სწ-2 ქვეჯგუფის დაკავებულობისთვის (შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი), განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი -**18,6** (ავტოსადგომი გარაჟები)

წესების **1004 ქვეთავის** და**1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად და დაკავებულობის დატვირთვა, როგორც -7,59 ასევე -4,29 ნიშნულზე მდებარე ავტოსადგომი გარაჟისთვის შეადგენს **312-182** დაკმავებელს. საერთო ჯამში საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით **სწ-2 ჯგუფის** ჯამური დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს **494 დამკავებელს**.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გათვალისწინებულია წესების **508.1 ქვეთავით** და **508.4 ცხრილით** განსაზღვრული განსხვავებული დაკავებულობების გამმიჯნავების მიმართ მოთხოვნები, **სწ-2** ჯგუფის (შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი -7,59 და -4,29 ნიშნულზე), მის მომიჯნავედ **სქ** ჯგუფის (დაცვის ოთახი -3,30 ნიშნულზე, საბავშვო ბაღის სამზარეულო და პერსონალის ოთახი +/-0.00 და +3,30 ნიშნულებზე), **სვ** ჯგუფის (საცალო და საბითობო მაღაზიები -3,30 და +/-0.00 ნიშნულებზე), **სგ** ჯგუფის (საბავშვო ბაღი C ბლოკი, +/-0.00 და +3,30 ნიშნულებზე) და **სც-2** ჯგუფის (საცხოვრებელი ჯგუფის დაკავებულობები A და B ბლოკში -3,30 _ +29,70 ნიშნულებზე და D და E ბლოკში -0,99 _ +32,01 ნიშნულებზე) დაკავებულობებისგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე თარაზული ანაწყობით და მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მოქონე კედელბით, რაც შეესაბამება წესების **508.4 ცხრილის** მოთხოვნებს.

შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟები, აკმაყოფილებს წესების **406.9.3 ქვეთავის** მოთხოვნებს ავტოსადგომზე ავტომობილისთვის განკუთვნილი ადგილის ზომებთან დაკავშირებით - თითოეული ავტოსადგომი ადგილის სიგანე აჭარბებს მოთხოვნილ მინიმუმს 2,5 მეტრს და შეადგენს 3 მეტრს. ხოლო სიგრძე აკმაყოფილებს წესებით განსაზღვრულ მინიმუმს და შეადგენს მინიმუმ 5.5 მეტრს. ავტოსადგომზე საავტომობილო გზის სიგანე მოწყობილია წესების **406.9.4 ქვეთავის** შესაბამისად, განსაზღრულია ცალმხრივი მოძრაობა მინიმუმ 3,6 მეტრი სიგანის გზით და ავტოსადგომ ადგილებს შორის დატოვებულია წესების **406.9.4.3 ქვეთავით** განსაზღვრული მინიმუმ **6,3** მეტრიანი გასავლელი, რომელიც თავისმხრივ მოიცავს **3.6** მეტრიან გზას.

ავტოსადგომს შესასვლელ/გასასვლელად ემსახურება ერთი ორმხრივი და ერთი ცალმხრივი საავტომობილო პანდუსი, რომელიც განთავსებულია შენობის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილში. ცალმხრივი პანდუსის მინიმალური სიგანე შეადგენს **6** მეტრს, ხოლო ორმხრივი პანდუსის 7.75 მეტრს. ცალმხრივი პანდუსის მაქსიმალური ქანობი შეადგენს 11,7%, ხოლო ორმხრივი პანდუსის 12%-ს. შიგა მოხვევის რადიუსები შეადგენს **4.5** მეტრს.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით -7,59 ნიშნულზე განთავსდება 153 ავტოსადგომი ხოლო, -4,29 ნიშნულზე 79 ავტოსადგომი, ასევე შენობის სამხრეთ ნაწილიში გზის პირას განთავსდება 38 ავტოსადგომი, სერთო ჯამში, პროექტის მიხედვით მოეწყობა 270 ავტოსადგომი ადგილი, მათ შორის 25 შშმ პირებისთვის განკუთვნილი.

2. სავაჭრო ჯგუფი **სვ** (საცალო და საბითუმო მაღაზიები, - 3.30 და +0.00 ნიშნულებზე) **წესების 309.1 ქვეთავის** მიხედვით ამ ჯგუფს მიკუთვნებული სივრცეებში გამოფენილია და იყიდება საქონელი, ასევე, განთავსებულია ამგვარი საქონლის მარაგი, ნაკეთობები და სავაჭრო საქონელი და მისაწვდომია საზოგადოებისთვის.

სვ ჯგუფის დაკავებულობისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი-**2.8**, (სავაჭრო კომერციული) წესების **1004 ქვეთავის 1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად და დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს -3,30 ნიშნულზე **415 დამკავებელს,** ხოლო 0,00

ნიშნულზე **49 დამკავებელს.** საერთო ჯამში საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით **სვ ჯგუფის** ჯამური დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს **464 დამკავებელს**.

საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებულია **508.1 ქვეთავით** და **508.4 ცხრილით** განსაზღვრული განსხვავებული დაკავებულობების გამმიჯნავების მიმართ მოთხოვნები, სავაჭრო ჯგუფის დაკავებულობა **(სვ),** მის მომიჯნავედ/ზევით/ქვევით მდებარე **(სწ-2)** და **(სც-2)** ჯგუფის დაკავებულობებისგან გამიჯნულია მინიმუმ **2** საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონის ფილა) თარაზული ანაწყობით და მინიმუმ **2** საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია ბეტონის ბლოკის კედლები), კედლებით რაც შეესაბამება **508.4 ცხრილში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

3. საქმიანი ჯგუფი **სქ** (დაცვის ოთახი - 3.30 ნიშნულებზე, სამზარეულო +0.00 ნიშნულებზე, პერსონალის ოთახი +3.30 ნიშნულზე) წესების **304.1** ქვეთავის მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს შენობის ან ნაგებობის, ან მისი ნაწილის გამოყენებას საოფისე, პროფესიული ან სამომსახურებო ტიპის საქმიანობებისთვის, მათ შორის, ჩანაწერებისა და ანგარიშების შესანახად.

სქ ჯგუფის დაკავებულობებისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - **9,3** (საქმიანობის წარმოების (ბიზნესის) ფართობები) წესების **1004 ქვეთავის 1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად და დაკავებულობის დატვირთვა თითოეულ ზემოაღნიშნულ სართულებზე შეადგენს **4 დამკავებელს.** საერთო ჯამში საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით **სქ ჯგუფის** ჯამური დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს **12 დამკავებელს**.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გათვალისწინებულია წესების **508.1 ქვეთავით** და **508.4 ცხრილით** განსაზღვრული განსხვავებული დაკავებულობების გამმიჯნავების მიმართ მოთხოვნები, საქმიანი ჯგუფის **(სქ)** დაკავებულობა, მის მომიჯნავედ/ზევით/ქვევით მდებარე **სწ-2, სც-2** და **სგ** ჯგუფის დაკავებულობებისაგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონის ანაკრები ღრუტანიანი ფილა) თარაზული ანაწყობით და მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,** საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გამოყენებულია ბეტონის ბლოკის კედლები), კედლებით რაც შეესაბამება **508.4 ცხრილში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4. საგანმანათლებლო ჯგუფი **სგ** (საბავშვო ბაღი +0.00 და +3.30 ნიშნულებზე) წესების **305.1 ქვეთავის** მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს შენობის ან ნაგებობის ან მათი ნაწილის ნებისმიერ დროს გამოყენებას ექვსი ან მეტი ადამიანის განათლების მიზნით, 12 კლასის ჩათვლით.

სგ ჯგუფის დაკავებულობისთვის განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორები - **1,9** (საკალსო ოთახის ფართობი) და **0,7** (კონცენტრირებული (მხოლოდ დასაჯდომები- არაფიქსირებული)), წესების **1004 ქვეთავის 1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად და დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს:

- 0.00 ნიშნული – **188 დამკავებელი**
- +3.30 ნიშნული – **144 დამკავებელი**

საერთო ჯამში საპროექტო ნაწილის **სგ** ჯგუფის დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს **332 დამკავებელს.**

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გათვალისწინებულია წესების **508.1 ქვეთავით** და **508.4 ცხრილით** განსაზღვრული განსხვავებული დაკავებულობების გამმიჯნავების მიმართ მოთხოვნები, საგანმანათლებლო ჯგუფის დაკავებულობა **(სგ)** მომიჯნავედ/ქვედა სართულზე მდებარე საქმიანი **(სქ)** და სასაწყობო **(სწ-2)** ჯგუფის დაკავებულობებისგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,** გამოყენებულია გაძლიერებული ბეტონის ფილა) თარაზული ანაწყობით და მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმდეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე, რომელიც აღწერილია წესების **721.1(1) და 721.1(2) ცხრილებში,** გამოყენებულია ბეტონის ბლოკის წყობა) კედლებით, რაც შეესაბამება წესების **508.4 ცხრილში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. საცხოვრებელი ჯგუფის ქვეჯგუფი **სც-2,** წესების **310.4 ქვეთავის** მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებს საცხოვრებელ ან საძინებელი ერთეულებით, სადაც დამკავებლები მუდმივად ცხოვრობენ. პროექტის მიხედვით აღნიშნული დაკავებულობები კერძოდ კი საცხოვრებელი ერთეულები (ბინები) განთავსებულია -3.30, -0.99, +0.00, +2.31, +3.30, +5.61, +6.60, +8.91, +9.90, +12.21, +13.20, +15.51, +16.50, +18.81, +19.60, +22.11, +23.10, +25.41, +26.40, +28.71, +29.70, +32.01 ნიშნულებზე განთავსებულ სართულებზე.

საცხოვრებელი ერთეულები დაგეგმარებულია წესების **1208 ქვეთავის** გათვალისწინებით, კერძოდ თითოეული საცხოვრებელი ერთეული შეესაბამება **1208.1 ქვთავით** განსაზღვრულ ოთახის მინიმალური სიგანის მოთხოვნას (პროექტის მიხედვით მინიმალური სიგანე 2,80 მეტრი), **1208.2 ქვეთავით** განსაზღვრულ ჭერის მინიმალური სიმაღლის მოთხოვნას (პროექტის მიხედვით მინიმალური სიმაღლე 3 მეტრი) და **1208.4 ქვეთავის** მოთხოვნას კომპაქტურ საცხოვრებელ ერთეულთან დაკავშირებით (ბინის მინიმალური ფართობი 36,4 კვ.მ), ყველა საცხოვრებელი ერთეული მოიცავს მინიმუმ ერთ - 14 კვ.მ ფართობის მქონე საცხოვრებელ ოთახს, ხოლო სხვა საცხორვებელი ოთახების ფართობი 7 კვ.მ-ზე მეტია. ასევე, საცხოვრებელ ერთეულებში დაცულია წესების მე-12 თავით განსაზღვრული სხვა მოთხოვნებიც შიგა გარემოსთან დაკავშირებით.

სც-2 ქვეჯგუფის დაკავებულობისთვის, განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი-**18.6** (საცხოვრებელი), **1004 ქვეთავის** და **1004.1.2 ცხრილის** მიხედვით, შესაბამისად თითოეულ სართულზე განსაზღვრულია საერთო დაკავებულობის დატვირთვა:

-3.30 - 43 დამკავებელი

-0.99 - 91 დამკავებელი

+0.00 – 110 დამკავებელი

+2.31 - 91 დამკავებელი

+3.30 - 127 დამკავებელი

+5.61 – 104 დამკავებელი

+6.60 - 130 დამკავებელი

+8.91 – 104 დამკავებელი

+9.90 - 104 დამკავებელი

+12.21 – 78 დამკავებელი

+13.20 - 104 დამკავებელი

+15.51 - 78 დამკავებელი

+16.50 -104 დამკავებელი

+18.81 -78 დამკავებელი

+19.60 -104 დამკავებელი

+22.11 -78 დამკავებელი

+23.10 -104 დამკავებელი

+25.41 -78 დამკავებელი

+26.40 -104 დამკავებელი

+28.71 -78 დამკავებელი

+29.70 -104 დამკავებელი

+32.01 -39 დამკავებელი

საერთო ჯამში, საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, შენობაში არსებული საცხოვრებელი **(სც-2)** ჯგუფის დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს **2034** დამკავებელს. თითოეული საცხოვრებელი ფართობი (ბინა) ერთმანეთისაგან გამიჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე (მასალიდან გამომდინარე) თარაზული ანაწყობით და მინიმუმ 1 საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით, რაც შეესაბამება წესების **508.4 ცხრილში და 420 ქვეთავში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

პროექტის მიხედვით განსაზღვრული დაკავებულობები შერჩეულია წესების შესაბამისად და მათი დატვირთვები სწორად არის გამოთვლილი **1004,1.2** ცხრილის მიხედვით.

დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება *განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის*

არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

2. კონსტრუქციის ტიპების შეფასება

შენობა-ნაგებობის უსაფრთოხების წესების მიხედვით საპროექტო შენობისთვის გამოყენებული მასალების ცეცხლმედეგობის (განსაზღრულია **721.1 ცხრილის** მიხედვით) , შენობაში არსებული დაკავებულობების საფუძველზე და შენობის საპროექტო სიმაღლიდან გამომდინარე შენობისთვის განსაზღრულია **I-B** კონსტრუქციის ტიპი.

შენობის ელემენტები - ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო (გაძლიერებული ბეტონის სვეტები, პილონები, კედლები და კოჭები), იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები (გაძლიერებული ბეტონის ანაკრები ღრუტანიანი ფილა), სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები (გაძლიერებული ბეტონის ანაკრები ღრუტანიანი ფილა დასრულებული ბრტყელი გადახურვის კონსტრუქციით) აკმაყოფილებს **601 ქვეთავს, 601 ცხრილის** მოთხოვნებს, პროექტის მიხედვით ზემოთ აღწერილი ელემენტების ცეცხლმედეგობის ხარისხი **721 ქვეთავში** აღწერილი მასალათა სპეციფიკაციიდან გამომდინარე შეადგენს მინიმუმ **2 საათს** და შეესაბამება **601 ცხრილში IB** კონსტრუქციის ტიპისთვის მოთხოვნილ ცეცხლმედეგობის ხარისხს.

გარე კედელბის ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს წესების **602 ცხრილში** განსაზღრულ მინიმუმს ხანძარსაწინააღმდეგო მანძილიდან და გარე კედელბის სამშენებლო მასალიდან გამომდიანრე, რაც ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება აღწერილი.

კონსტრუქციის ტიპების შეფასება განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.

3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება

საპროექტო შენობის სიმაღლე და ფართობი განსაზღვრულია **წესების მე-5 თავის 503-ცხრილის** მიხედვით შენობაში არსებული დაკავებულობების და კონსტრუქციის ტიპიდან **(I-B)** გამომდინარე შენობის ყველა ნაწილი აკმაყოფილებს განსაზღვრულ ნორმებს.

როგორც უკვე აღინიშნა პროექტის აღწერილობაში საპროექტო შენობა, შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებიდან გამომდინარე შეესაბამება მაღლივი შენობის კატეგორიას, რაც გულისხმობს, რომ სახანძრო მანქანის მისადგომიდან ბოლო დაკავებული იატაკის ნიშნული აღემატება 23 მეტრს, მაგრამ არ აღემატება 37 მეტრს.

იქიდან გამომდინარე, რომ საპროექტო შენობა აკმაყოფილებს **I-B** კონსტრუქციის ტიპისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს, წესების **503-ე ცხრილის** მიხედვით შენობის დასაშვები სიმაღლე შეადგენს **48.8 მეტრს,** ხოლო დასაშვები სართულიანობა **სწ-2; სქ; სვ; და სც-2** ჯგუფის დაკავებულობებისვის შეადგენს **11 სართულს,** ხოლო **სგ** ჯგუფისთვის **5 სართულს**. სართულზე დასაშვები ფართობი **503 ცხრილის** მიხედვით **სწ-2 ჯგუფისთვის** შეადგენს-**7340 კვ.მ** ხოლო **სც-2; სვ; სგ და სქ ჯგუფებისთვის** შეუზღუდავია.

საპროექტო შენობის შემოთავაზებული სართულიანობაა მიწის ზემოთ **11 სართული** (მიწისქვეშა ორი სართული) შემოთავაზებული სიმაღლე გამოთვლილია წესების მიხედვით და შეადგენს **34,90 მეტრს (შენობის სიმაღლე განსაზღვრულია მიწის დონის ნიშნულიდან +0,74=481,44მ).** ხოლო სახანძრო-სამაშველო დანაყოფის მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი წერტილიდან ბოლო დაკავებული იატაკი მდებარეობს **33,00** მეტრზე.

როგორც აღინიშნა წესების **503-ე ცხრილის** მიხედვით სართულზე დასაშვები ფართობი **სწ-2 ჯგუფისთვის** შეადგენს-**7340 კვ.მ** ხოლო **სც-2; სვ; სგ და სქ ჯგუფებისთვის** შეუზღუდავია. თუმცა საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით განსაზღვრული დაკავებულობის ფართობი შემდგენაირია:

-7,59 ნიშნულზე განთავსებული შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი **სწ-2 ჯგუფი - 5798.8 კვ.მ.**

-4,29 ნიშნულზე განთავსებული შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი **სწ-2 ჯგუფი - 3380 კვ.მ.**

-3,30 ნიშნულზე განთავსებული საცალო და საბითუმო მაღაზიები **სვ ჯგუფი - 1154,1 კვ.მ.**

0,00 ნიშნულზე განთავსებული საცალო და საბითუმო მაღაზიები **სვ ჯგუფი - 137,1 კვ.მ.**

-3,30 ნიშნულზე განთავსებული დაცვის ოთახი **სქ ჯგუფი - 33,4 კვ.მ.**

-0,00 ნიშნულზე განთავსებული სამზარეულო **სქ ჯგუფი - 40,0 კვ.მ.**

+3,30 ნიშნულზე განთავსებული პერსონალის ოთახი **სქ ჯგუფი - 40,0 კვ.მ.**

-0,00 ნიშნულზე განთავსებული საბავშვო ბაღი **სგ ჯგუფი - 201,8 კვ.მ.**

+3,30 ნიშნულზე განთავსებული საბავშვო ბაღი **სგ ჯგუფი - 271,1კვ.მ.**

-3,30 ნიშნულზე განთავსებული საცხოვრებელი ჯგუფის დაკავებულობა **სც-2- 714,4 კვ.მ.**

-0,99 ნიშნულზე განთავსებული საცხოვრებელი ჯგუფის დაკავებულობა **სც-2- 1647,3 კვ.მ.**

0,00 ნიშნულზე განთავსებული საცხოვრებელი ჯგუფის დაკავებულობა **სც-2- 1982,7 კვ.მ.**

+2,31 ნიშნულზე განთავსებული საცხოვრებელი ჯგუფის დაკავებულობა **სც-2- 1720,3 კვ.მ.**

+3,30 ნიშნულზე განთავსებული საცხოვრებელი ჯგუფის დაკავებულობა **სც-2- 2389,8 კვ.მ.**

+5,61 ნიშნულზე განთავსებული საცხოვრებელი ჯგუფის დაკავებულობა **სც-2- 1942,9 კვ.მ.**

+6,60 ნიშნულზე განთავსებული საცხოვრებელი ჯგუფის დაკავებულობა **სც-2- 2367,5 კვ.მ.**

+8,91 ნიშნულზე განთავსებული საცხოვრებელი ჯგუფის დაკავებულობა **სც-2- 1972,3 კვ.მ.**

+9,90 ნიშნულზე განთავსებული საცხოვრებელი ჯგუფის დაკავებულობა **სც-2- 1911,7 კვ.მ.**

+12,21 ნიშნულზე განთავსებული საცხოვრებელი ჯგუფის დაკავებულობა **სც-2- 1485 კვ.მ.**

+13,20 ნიშნულზე განთავსებული საცხოვრებელი ჯგუფის დაკავებულობა **სც-2- 1911,7 კვ.მ.**

+15,51 ნიშნულზე განთავსებული საცხოვრებელი ჯგუფის დაკავებულობა **სც-2- 1485 კვ.მ.**

+16,50 ნიშნულზე განთავსებული საცხოვრებელი ჯგუფის დაკავებულობა **სც-2- 1911,7 კვ.მ.**

+18,81 ნიშნულზე განთავსებული საცხოვრებელი ჯგუფის დაკავებულობა **სც-2- 1485 კვ.მ..**

+19,80 ნიშნულზე განთავსებული საცხოვრებელი ჯგუფის დაკავებულობა **სც-2- 1911,7 კვ.მ.**

+22,11 ნიშნულზე განთავსებული საცხოვრებელი ჯგუფის დაკავებულობა **სც-2- 1485 კვ.მ.**

+23,10 ნიშნულზე განთავსებული საცხოვრებელი ჯგუფის დაკავებულობა **სც-2- 1911,7 კვ.მ.**

+25,41 ნიშნულზე განთავსებული საცხოვრებელი ჯგუფის დაკავებულობა **სც-2- 1485 კვ.მ.**

+26,40 ნიშნულზე განთავსებული საცხოვრებელი ჯგუფის დაკავებულობა **სც-2- 1911,7 კვ.მ.**

+28,71 ნიშნულზე განთავსებული საცხოვრებელი ჯგუფის დაკავებულობა **სც-2- 1485 კვ.მ.**

+29,70 ნიშნულზე განთავსებული საცხოვრებელი ჯგუფის დაკავებულობა **სც-2- 1911,7 კვ.მ.**

+32,01 ნიშნულზე განთავსებული საცხოვრებელი ჯგუფის დაკავებულობა **სც-2- 742,6 კვ.მ.**

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით მოცემული შენობის სიმაღლე, სართულიანობა და დაკავებულობის ფართობები განსაზღვრულია წესების შესაბამისად და აკმაყოფილებს **მე-5 თავის 503 ცხრილის** მოთხოვნებს.

სიმაღლისა და ფართობის შეფასება *განხორციელდა დამკვეთის მიერ მოწოდებულ არქიტექტურულ პროექტზე დაყრდნობით და შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების გამოყენებით (საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე"). უნდა აღინიშნოს, რომ საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ან მშენებლობის დროს განხორციელებული რაიმე სახის ცვლილება, რომელიც იქნება აღნიშნულ არქიტექტურულ პროექტთან შეუსაბამო, ავტომატურად გამოიწვევს წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის და შეფასებების გაუქმებას, ასევე საჭიროს გახდის არქიტექტურული პროექტის კორექტირებას და ახალი სამშენებლო ნებართვის მიღების აუცილებლობას.*

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასავლელამდე სავალი მანძილის, ჩიხურ დერეფნებთან დაკავშირებული შეზღუდვების და გასავლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე **მე-10 თავის** შესაბამისად.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით და წესების **მე-10 თავის 1021.2 ქვეთავის,**

1021.2(1) და 1021.2(2) ცხრილებიდან გამომდინარე შენობის თითოეულ სართულს ემსახურება მინიმუმ 2 გასასვლელის გზა-კიბე და გასასვლელის გზა-კარი, შიგა გასასვლელის გზა-კიბეები წესების **1009.3 ქვეთავის** მოთხოვნებიდან გამომდინარე შემოზღუდულია ცეცხლმდეგი კედლებით, ცეცხლმდეგობის ხარისხი შეადგენს მინიმუმ **2** საათს. შიგა გასასვლელის გზა-კიბეები აკმაყოფილებს წესების **909.20 ქვეთავის** მოთხოვნებს კვამლისგან დაცულ შემოზღუდულ სივრცეებთან დაკავშირებით.

გასასვლელები გადანაწილებულია შემდეგნაირად:

საპროექტო შენობის, -7,59 ნიშნულზე არსებულ დაკავებულობას **(სწ-2)** სართულის დაკავებულობის დატვირთვიდან (**312** დამკავებელი) და გასასვლელამდე სავალი მაქსიმალური მანძილიდან **(68,7 მეტრი)** გამომდინარე ემსახურება **8** შიგა გასასვლელის გზა კიბე, ხოლო -4,29 ნიშნულზე არსებულ დაკავებულობას **(სწ-2)** სართულის დაკავებულობის დატვირთვიდან (**182** დამკავებელი) და გასასვლელამდე სავალი მაქსიმალური მანძილიდან **(68,7 მეტრი)** გამომდინარე ემსახურება **4** შიგა გასასვლელის გზა-კიბე და **2** გასასვლელის გზა კარი, რაც აკმაყოფილებს წესების **1021.2 ქვეთავის** მოთხოვნებს მიწის დონის ქვედა სართულებთან დაკაშირებით.

თითოეულ საქმიანი **(სქ)**, ჯგუფის დაკავებულობას, დაკავებულობის დატვირთვიდან (**4** დამკავებელი) და გასასვლელამდე სავალი მაქსიმალური მანძილიდან **(26,5 მეტრი)** გამომდინარე ინდივიდუალურად ემსახურება **3** გასასვლელის გზა-კარი, ერთი შიგა გასასვლელის გზა კიბე და ერთი გასასვლელთან მისადგომის გზა კიბე.

თითოეულ სავაჭრო **(სვ)**, ჯგუფის დაკავებულობას, დაკავებულობის დატვირთვიდან (მაქსიმუმ **27** დამკავებელი) და გასასვლელამდე სავალი მაქსიმალური მანძილიდან **(12,5 მეტრი)** გამომდინარე ინდივიდუალურად ემსახურება მინიმუმ **1** გასასვლელის გზა-კარი, ხოლო -3,30 ნიშნულზე განთავსებულ **სვ ჯგუფის** (კომერციული ფართი N01) დაკავებულობას დაკავებულობის დატვირთვიდან გამომდინარე **(76 დამკავებელი)** ემსახურება **2** გასასვლელის გზა კარი. რაც აკმაყოფილებს წესების **1021.2 ქვეთავის** და **1015.2.1 ქვეთავის** მოთხოვნებს გასასვლელების რაოდენობასთან და განთავსებასთან დაკავშირებით.

C ბლოკში 0,00 ნიშნულზე განთავსებულ განთავსებულ **სგ ჯგუფის** დაკავებულობას დაკავებულობის დატვირთვიდან გამომდინარე (188 დამკავებელი) ემსახურება 3 გასასვლელის გზა კარი, ხოლო +3,30 ნიშნულზე მდებარე **სგ ჯგუფის** დაკავებულობას დაკავებულობის დატვირთვიდან გამომდინარე (144 დამკავებელი) ემსახურება 1 შიგა გასასვლელის გზა კიბე და 1 შიგა გასასვლელთან მისადგომის გზა კიბე, რაც აკმაყოფილებს წესების **1021.2 ქვეთავის** და **1015.2.1 ქვეთავის** მოთხოვნებს გასასვლელების რაოდენობასთან და განთავსებასთან დაკავშირებით.

-3,30 ნიშნულზე A და B ბლოკებში და -0,99 ნიშნულზე D და E ბლოკებში განთავსებულ საცხოვრებელ ბინებს ინდივიდუალურად ემსახურება 1 გასასვლელის გზა კარი. ხოლო ზედა ნიშნულებზე განთავსებულ **სც-2** ჯგუფის დაკავებულობისთვის (თითოეული ბლოკისთვის) სართულიდან გასასვლელ საშუალებებად განსაზღვრულია ორი შიგა გასასვლელის გზა-კიბე, როგორც უკვე აღინიშნა, შიგა გასასვლელის გზა-კიბეები შემოზღუდულია ცეცხლმედეგი კედლებით, კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი შეადგენს მინიმუ **2** საათს და აკმაყოფილებს წესების **1009.3.1.1 ქვეთავით** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

შიგა-გასასვლელის გზა-კიბეები აკმაყოფილებს წესების **403.5.1 ქვეთავის** მოთხოვნებს შიგა-გასასვლელის გზა კიბეების დაშორებულობასთან დაკავშირებით და **403.5.4 ქვეთავის** მოთხოვნებს გასასვლელბის კვამლგაუმტარ შემომზღუდავებთან დაკავშირებით.

საპროექტო შენობაში ავტოსაშხეფი სისტემით აღჭურვილია მთლიანად **სწ-2** ჯგუფის დაკავებულობა. წესების **ქვეთავი 1016-სა** და **ცხრილი 1016.2-ის** მიხედვით გასასვლელთან მისადგომი მაქსიმლური სავალი მანძილი დაშვებულია **120** მეტრი **სწ-2** ჯგუფის დაკავებულობისთვის და **60** მეტრი **სვ, სგ, სქ** და **სც-2** ქვეჯგუფების დაკავებულობებისთვის. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გასასვლელამდე სავალი მაქსიმალური მანძილები დაცულია და შეესაბამება წესების მოთხოვნებს.

გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები მოწყობილია წესების **1009 ქვეთავის** შესაბამისად და აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გასასვლელთან მისადგომი დერეფნები მოწყობილია წესების **1018 ქვეთავის** მიხედვით და აკმაყოფილებს მინიმუმ **1** საათიან ცეცხლმედეგობის ხარისხს, გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია წესების **1008 ქვეთავის** შესაბამისად, ყველა მათგანი აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას, რასაც ქვემოთ უფრო დეტალურად განვიხილავთ.

გასასვლელები გრძელდება **1027 ქვეთავის** მიხედვით მოწყობილი შენობიდან გამოსასვლელით და სრულდება, როგორც საზოგადოებრივ გზაზე, ისე წესების **423.1 ქვეთავით** განსაზღვრულ უსაფრთხო ადგილზე.

შენიშვნა:

